

შპს იუნიქი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს იუნიქი

2024 წლის ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


შპს იუნიქი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა 31 დეკემბრის მდგომარეობით	31/12/2024	31/12/2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,228,115	4,311,715
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	128,460	78,228
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	429,049	375,23
მარაგები	2,370,995	1,914,464
სხვა არამატერიალური მარაგები	35,946	14,819
ძირითადი საშუალებები	4,969,598	3,345,281
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
სხვა მოკლევადიანი აქტივები		266,932
სულ აქტივები	10,162,163	10,306,678
სავაჭრო ვალდებულებები	231,095	269,668
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		3,370
საგადასახადო ვალდებულებები	295,952	276,801
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	163,559	146,156
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	200,041	363,843
სხვა ვალდებულებები	1,417	2,791
სულ ვალდებულებები	892,064	1,062,629
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	9,270,099	9,244,049
სულ საკუთარი კაპიტალი	9,270,099	9,244,049
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	10,162,163	10,306,678

დირექტორი



ზვიად ციკოლია

შპს იუნიქი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	13,473,769	8,225,928
საქონლის გაყიდვიდან	13,473,769	8,225,928
გაყიდვების თვითღირებულება	-2,814,187	-1,892,129
საერთო მოგება	10,659,582	6,333,799
სხვა საოპერაციო შემოსავალი	293,233	86,323
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1,803,585	-1,127,371
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-177,026	-131,470
საპროცენტო ხარჯი	-61,100	-82,742
იჯარის ხარჯი	-106,148	66,900
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	732,511	564,919
სულ საოპერაციო ხარჯები	2,587,137	1,887,079
საოპერაციო მოგება	8,072,445	4,446,72
წმინდა შემოსულობა /(დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	75,321	21,889
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	40,035	44,842
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	8,107,731	4,379,989
მოგების გადასახადის ხარჯი	1,227,811	208,553
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	6,879,920	4,171,436
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	6,879,920	4,171,436
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	9,244,049	6,175,655
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	6,853,870	1,103,042
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	9,270,099	9,244,049

დირექტორი



ზვიად ციკოლია


შპს იუნიქი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი სახსრების მოძრაობა 31 დეკემბრის მდგომარეობით	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	678,936	2 518 789
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-1,657,116	-463 550
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	118,742	393 946
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	2,217,310	1 661 293
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	133,710	336 305
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	4,311,715	2 314 117
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,228,115	4 311 715

დირექტორი



ზვიად ციკოლია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „იუნიქი“ დაფუძნებულია 2011 წლის 28 აპრილს და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 401958048.

შპს „იუნიქი“-ს იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, არ. ქურდიანის ქ., N 6, ბ. 73. კომპანია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის საქმიანობაა საათებითა და ძვირფასეულობებით ვაჭრობა. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი ზვიად ციკოლია (ს/კ 01005002380).

„საზოგადოების“ კაპიტალში პარტნიორთა წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ზვიადი ციკოლია (ს/კ 01005002380) - 100%

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ანგარიშგების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება

კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგების ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

31.12.2024

31.12.2023

ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753

2.3 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე 17 ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდამოშვებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად.

2.4 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

ნეტო სარელიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადებიადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

2.5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების ფასდება გარიგების ფაისთ, გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარშიდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლით კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო მოთხოვნები არის მოკლევადიანი და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

2.6 გადახდილი ან მიღებული ავანსები

გადახდილი და მიღებული ავანსები აღიარდება გადახდილი/მიღებული თანხის ოდენობით გადახდის/მიღების მომენტში. ავანსების გადაფასება არ ხდება სავალუტო

კურსის მიხედვით და რჩება შეფასებული ისტორიული ღირებულებით. გადახდილი ავანსების გაუფასურებაზე ტესტირება ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს და თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გადახდილი ავანსის შესაბამის საქონელს ან მომსახურებას კომპანია ვერ მიიღბს და თანხის უკან დაბრუნებაც შეუძლებელი იქნება, მაშინ გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.7 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.8 ბანკის სესხები და ოვერდრაფტი

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

2.9 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოების (მათ შორის ბონუსების) დანახარჯებად აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც თანამშრომლები გაწევენ მომსახურებას.

კომპანიას არ აქვს გრძელვადიანი გასამრჯელოების პროგრამები დაქირავებულთათვის და არ ახორციელებს წილობრივ გადახდებს.

2.10 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით.

3 განმარტებითი შენიშვნები

3.1 ფული და ფულადი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

საკრედიტო რისკი. კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკებთან, მათ შორის საკრედიტო რისკთან. საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურადექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მენეჯმენტის მიერ დანერგილი კონტროლები გულისხმობს, ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს არსებული მოთხოვნების იდენტიფიცირებას და მათი შესაბამისი ფულადი სახსრების მიღებას, რაც განაპირობებს საკრედიტო რისკების მინიმიზაციას.

საექვო ვალების რეზერვი. კომპანია კლიენტის გადახდისუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსაზრუნად ქმნის საექვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისადხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური

მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

შპს იუნიქი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


5. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად

ასახავს შპს „შპს იუნიქი“-ს ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და ხელმოწერილია.

დირექტორი:



ზვიად ციკოლია